



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარაზულირებელი ეროვნული კომისია

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №30/4

2021 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

### მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე

“ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) ამოცანას წარმოადგენს მიმწოდებლის შეცვლისთვის საჭირო მონაცემთა გაცვლის პროცესების თავსებადობის ხელშეწყობა. კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში - საცალო ბაზრის წესები) 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ფორმას ამტკიცებს კომისია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, “ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და 106-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ 39-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-56-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს „მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის“ ფორმა თანდართული სახით;
2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;

3. კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება;
4. გადაწყვეტილება საჩივრდება კომისიის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

